

დაწინაურების გზები ჯონათან სვიფტის “გულივერის მოგზაურობის” მიხედვით და მათი ანალოგიები თანამედროვე პოლიტიკაში

ნინო მაისურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

ჯონათან სვიფტის ცნობილ ნაწარმოებს “გულივერის მოგზაურობას” დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, რადგან მასში წარმოდგენილია უნივერსალური პოლიტიკური მოდელები, რომლებიც ზოგადადადამინურ მანკიერებებსა და ნაკლოვანებებზე დაკვირვების შედეგად შეიქმნა. ერთ-ერთ ასეთ მოდელს პოლიტიკური კარიერული წინსვლის მიღწევის გზები წარმოადგენს. ქვემოთ მდებარე კვლევის მიზანია “გულივერის მოგზაურობაში” დასახელებული წარმატების მიღწევის საშუალებების ანალოგიების დაძებნა თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, მათი გაანალიზება თანამედროვე და სვიფტისდროინდელი ეპოქის კონტექსტით, სვიფტის მიერ წარმოდგენილი მოდელების პარალელებისა და განსხვავებების პოვნა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა უცხოური თუ ქართული ლიტერატურის მიმოხილვა და მათი გაანალიზების საშუალებით იმის განსაზღვრა თუ რა მიზეზები განაპირობებს ამგვარ ისტორიულ ტავტოლოგიას.

**საძიებო სიტყვები:** ჯონათან სვიფტი, კარიერულის წინსვლა, პოლიტიკური მოდელები, პოლიტიკური ანალოგიები